




SGP The GEF
Small Grants
Programme

25
YEARS



მინისტრის დაგრძნელებისა და
ტყის მდგრადი მართვა კარგადას
თამის საქონლაპის მაგალითზე



ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ბუნებრივი და მდგრადი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად მიწისა და ნიადაგის დეგრადაციის პროცესები. ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია მიწის რესურსებისა და ნიადაგის დაცვა. ნიადაგის დეგრადაციის ხელშემწყობი ბუნებრივი ფაქტორები შეიძლება იყოს რელიეფი, კლიმატი, მცენარეულისაფარისა რასებობა, ნიადაგის ხასიათი, კლიმატის ცვლილება და ა.შ. ხოლო ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევ ანთროპოგენულ მიზეზებად მიჩნევა ნიადაგის არამდგრადი (ხშირი/არასწორი) დამუშავება, საძოვრების არამდგრადი ძოვება, ეროზია, პესტიციდებისა და სასუქების ინტენსიური გამოყენება, ტყის უკონტროლო გაჩეხვა, გადაჭარბებული ძოვება, ხელოვნური ხანძრები და სხვა.

საქართველოსთვის დამახასიათებელი მაღალმთიანი რელიეფის გამო, ხშირია სტიქიური მოვლენები, წყალდიდობები, დვარცოფები, თოვლის ზვავები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის მთიანი ბუნების გამო, სხვა სტიქიური მოვლენებისაგან განსხვავებით მაღალი სიხშირითა და ინტენსიონით ხასიათდება. ყოველივე კი, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს და ქვეყნის კუონომიკას, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ხელს უშლის მთიანი რეგიონების ათვისების ნორმალურ პროცესებს.

განსაკუთხებით მნიშვნელოვანია საქართველოში ტყეების, მდგრადი მართვის პრინციპის გათვალისწინებით მართვა, რადგანაც ტყეები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე



მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია და მას ქვეყნის ტერიტორიის დახლოებით 40% უჭირავს. საქართველოს ტერიტორია მდიდარია ბიომრავალფეროვნების კუთხით, რომელთა შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკოსისტემებისა და ცომემკვიდრეობის დაცვის კუთხით. ქვეყნის ტერიტორია არა მხოლოდ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, არამედ მოსახლეობისთვის სასიცოცხლო პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებლობისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. თუმცა, გახშირებული ბუნებრივი მოვლენების (კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესები) და ანთროპოგენური (უსისტემო ძოვება, ტყის საფარის გაჩეხვა) პროცესების გამო, დიდი ზიანი აგდება ტყის მასივებს. მაღალმთიან რეგიონებში მატულობს ზეავსაშიში ზონები, რის გამოც დიდი საფრთხე ადგება მოსახლეობას. ამიტომ მნიშვნელოვანია დროული და ეფექტური ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც კლიმატის ცვლილების მდგრადობას ასევე, საქართველოს უნიკალური ბუნების დაცვას.

ალიართის ცვლილება და სტიკირი მოვლანაზე

უკანასკნელ წლებში საქართველოში ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების ინტენსივობისა და სიხშირის ზრდამ გამოიწვია სტიკიური პროცესების შასტაბური გააქტიურება. მომავალში, კლიმატის ცვლილების პროგნოზების მიხედვით, მოსალოდნელია ექსტრემალური ამინდის გახშირება, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს მეწყვერების, წყალდიდობების, ზვავების, ღვარცოფების შემთხვევების გაზრდას.

კლიმატის გლობალური ცვლილება დაკავშირებულია გლობალური ტემპერატურის მატებასთან. გლობალური დათბობა დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა საშუალო ტემპერატურის თანმიმდევრული ზრდაა, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციების მატება, რაც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობის შედეგად. „სათბურის გაზების“ ემისიების ზრდითა და მათი მშთნთქმელთა შემცირებით.

დღეისათვის დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს და იწვევს მნიშვნელოვან სოციალურ კონომიკურ პრობლემებს. ბოლო დროს მიმდინარე ტექნიკურმა განვითარებამ გამოიწვია ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილების ზრდა, რამაც გამოიწვია ეკოსისტემების მნიშვნელოვანი დეგრადაცია. გარემოსადმი გაუაზრებელი

მომხმარებლური დამოკიდებულება კი, იწვევს შეუქცევად
პროცესებს, რაც მომავალ თაობათა განვითარებას უზრიობებს:
სერიოზულ საფრთხეს.



ალიგატის მავათოი ცვლილება ინციპი:

- ეკოსისტემების შეცვლას, გადაგვარებას ან გაქრობას;
- ცხოველთა და მცენარეთა სახეობების არეალის შეცვლას ან გაქრობას;
- ტყის საფარის გადანაცვლებას ვერტიკალურად ზევით, ალპური სათიბებისა და საძოვრების გაქრობას;
- წყალდიდობებს, გვალვებს, ტყის ხანძრებს, ქარიშხლებს, ზვავსაშიში კერების გაჩენას;
- ნიადაგის დეგრადაციას და ა.შ.

კლიმატის ცვლილების, მიწის გამოშრობა/გამოფიტვისა და დეგრადაციის, ასევე გაუმართავი ექსპლოატაციის გამო, მაღალმთიანი რეგიონები განსაკუთრებული საშიშროების წინაშე დგას. რასაც შეიძლება სერიოზული საფრთხეები მოჰყვეს. რადგან კლიმატის ცვლილების მიზეზს წარმოადგენს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდა, ამიტომ კლიმატის ცვლილების შერბილება პირველ რიგში შესაძლებელია სათბურის გაზების გაზების ემისიების შემცირებით და ამ გაზების მშთანთქმელთა გაძლიერებით. კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრაში განსაკუთრებული როლი აკისრია ტყეს.

კლიმატური პირობების ზემოქმედება სხვადასხვანაირია: ერთი მხრივ, ის აუარესებს სოფლის მეურნეობის პირობებს, მეორე მხრივ კი, უარყოფითი კლიმატური პირობები უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო გარემოზე, არამედ იმ ფაქტორებზეც, რომლებიც პროვოცირებას უკეთებს სხვა მოვლენებს: წყალდიდობებს, წყალმოვარდნებს, დატბორვას და ასე შემდეგ.

ბოლო დროს, ბევრ მაღალმთიან რეგიონში დაფიქსირდა მეწყერსაშიში და ზევავსაშიში ზონები, რაც ნაწილობრივ უკავშირდება, როგორც კლიმატის ცვლილებას, ანთროპოგენურ ზემოქმედებას. როგორც აღინიშნა, ხშირია მაღალმთიან რაიონებში უნებართვო თიბვა, საქონლის უსისტემო ძოვება, ხე-ტყის ჭრა, მუქწიწვიანი მცენარეების დეგრადაცია და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღინისძიების გატარება, კლიმატის ცვლებასთან ადაპტაცია, ნაკლები ანთროპოგენული ჩარევა გარემოში და ზევავსაშიშ ზონებში დასაცავი ობიექტის თავისებურებების გათვალისწინებით სწორი და ეფექტური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.



წარმოდგენილ გამოცემაში მოცემულია საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“-ს მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ კარკუჩაში (სნოს თემი), შესრულებული პროექტის „თოვლის ზგავების მიერ დეგრადირებული ტერიტორიების რემედიაცია კარკუჩას საძოვრების მაგალითზე“ ინფორმაცია, რომელიც განხორციელდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში.

პროექტის შესახებ

საქართველო კლიმატური ზონების თვალსაზრისით დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში წარმოდგენილია კლიმატური ზონების თითქმის ყველა ტიპი, გარდა უდაბნოს და ტროპიკული ტყეებისა. სწორედ ამიტომ კლიმატის ცვლილება

* პუბლიკაციაში (1-5) სურათები გამოყენებულია ინტერნეტ სივრციდან.

განსხვავებულად მოქმედებს საქართველოს გეოგრაფიულ მხარეებზე. ბოლო დროს უკვე ხმამაღლაც საუბრობენ კლემატის ცვლილებაზე, ამა თუ იმ სეზონისთვის უჩვეულოდ იმდევნით ნალექზე, რომელიც თითქოსდა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველივე ამას მოსდევს მეწყრები და ღვარცოფები და ა.შ.

2017-2018 წლებში საქართველოს კონლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“-ს მიერ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ კარკუჩაში განხორციელდა პროექტი „თოვლის ზვავების მიერ დეგრადირებული ტერიტორიების რემედიაცია კარკუჩას საძოვრების მაგალითზე“. რომელიც მიზნად ისახავდა სოფელ კარკუჩაში ზვავსაშიში ტერიტორიების რისკების შეფასებას და შეფასების შედეგად შერჩეული სამოდელო ტერიტორიაზე შესაბამისი დაცვითი ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს სოფ. კარკუჩაში და მის მიმდებარე ადგილებში მთის სათიბ-საძოვრების დეგრადირებული ტერიტორიების რემედეაციას და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

პროექტის მიმდინარეობა ითავლისწინებდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (სოფელი კარკუჩა) ზვავსაშიში ტერიტორიების გეოკლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიურ შეფასებას, რაც გულისხმობს: თოვლის დაგროვების არეალების, ზვავის მოწყვეტის ადგილების, საზვავე ფერდობების ექსპოზიციის, ფორმისა და ხასიათის გამოვლენას. თემის მიწათსარგებლობის შეფასებას: მიწათსარგებლობის ფორმა, სახეები, ტყეების განაწილება, ტერიტორიის ინვენტარიზაცია, გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამღლებას გარემოსდაცვის კუთხით და მათი მხრიდან ინფორმაციის მიღებას რეგიონში გარემოსადცვითი და ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში მოხდა სამუშაო პოლიგონების შერჩევა, მისი აგეგმვა და მოწყობა, ტყის კორომების გაშენების ადგილების გასუფთავება, ორმოების მომზადება დარგვის მიზნით, დამცავი ღობეების მოწყობა, ტერასებისათვის ყორე-ქვის მავთულბადიანი გაბიონის მოწყობა, სათიბ-საძოვრების გაწმენდა ქვა-ლორლისაგან, საძოვრების რეცულტივაცია (მრავალწლიანი პარკისანი კულტურის „ესპარცეტის“ მოთხესა) და ა.შ.



ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ისევე როგორც საქართველოს კულტურული მაღალმთიანი რეგიონები გამოიჩინა თოვლის ზვავების წარმოქმნის მაღალი ინტენსივობით. ზვავსაშიში ზონები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ხელს უშლის მთიანი რეგიონების ათვისების ნორმალურ პროცესებს. ბოლო პერიოდში, თოვლის ზვავების ჩამოსვლის ინტენსივობას ხელი შეუწყო, როგორც ბუნებრივმა (კლიმატის ცვლილების მიმდინარე გამოვლინებები) ასევე, ანტროპოგენურმა (უსისტემო ძოვება, ტყის საფარის გაჩეხვა, მუქწიწვიანი მცენარეების დეგრადაცია და ა.შ.) პროცესებმა. რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო მიზნით და სათიბ-საძოვრად ძირითადად, მიწის სიმცირის გამო, სწორედ ზვავსაშიშ ტერიტორიებს იყენებს, რაც ზრდის ზვავების რისკს და საბოლოოდ მნიშვნელოვნად აზიანებს სავარგულებს, საძოვრებს და სოფლების სხვადასხვა ინფრასტრუქტურას. ამდენად, მსგავი სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა „დასაცავი ობიექტების“ თავისებურებების გათვალისწინებით სწორი და ეფექტური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც ნაწილობრივ მოახდენს გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებს, კლიმატის ცვლილების გამოვლინების ადგილებში, ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ადგილებში დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობას, მცენარეული საფარისა და ნიადაგის აღდგენის ხელშეწყობას, ნიადაგის პროდუქტულობის გაზრდას ზაფხულის სათიბ-საძოვრებზე, ბუნებრივი ეკოსისტემების ცალკეული კომპონენტების (ტყის კორომების) აღდგენას, დაცული ტერიტორიების ბუფერულ და დამხმარე ზონებში მდგრადი სასოფლო-სამეურნეო მიღებების




დანერგვას და აგრო-სატყეო ინიციატივების ხელშეწყობას. სწორედ, ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნობრუნვა შეირჩა პროექტის ფარგლებში სოფელი კარკურჩა. ჟადაციოთავა შეფასდა ზვავსაშიშროების რისკები, გატარდა კონკრეტული ტერიტორიებისთვის დაცვის ღონისძიებები და შესწავლილი იქნა ზვავების შედეგად დეგრადირებული ადგილები.

პროექტის ფარგლებში განხორცილებული ქალაბაზი

პროექტის განსახორციელებლად შეირჩა 20 სამუშაო პოლიგონი, მოხდა მისი აგეგმვა და მოწყობა; გაშენდა ტყის კორომები კორომი 0,5 ჰა ფართობზე; 100 გრძივ მეტრზე მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი და დამჭერი ბადეები; მოხდა 0,5 ჰა ფართობის რეკულტივაცია, ჩატარდა 4 სამუშაო შესვედრა და 10 ტრენინგი ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ქალბატონებისადა მოსწავლეების მაღალი აქტივობით. მომზადდა რადიო და ტელე გადაცემები, სადაც საუბარია პროექტისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. შეიქმნა ფეისბუკის გვერდი, სადაც მოცემულია ინფორმაცია განხორციელებული ქმედებების შესახებ, განთავსებულია საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები. შეიქნა ასევე ელექტრონული რეკა.

პროექტის ადგილზე შესრულებაში (პირადი ძალებით დახმარება, შერჩეულ ტერიტორიაზე სამშენელო მასალების ატანისა და ა.შ.) აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ სნოს ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა. რომლებიც მონაწილეობდნენ დაგეგმილ სემინარებსა და საინფორმაციო შინაარსის შესვედრებში. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ გამწვანების აქციებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრი სკოლის მოსწავლეებმა და თსუ სტუდენტებმა, მოხალისეებმა.





სოფელ კარკუჩას მიმდებარე ტერიტორიაზე ზავსაშინი მთის ფერდობების გასამაგრებლად დაირგო 4000-ზე მეტი წილივანი მცენარე.



დარგვის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის, სოს საჯარო სკოლისა და UNDP-ის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა, თსუ სტუდენტებმა.



მოხდა პროექტის ფარგლებში შემჩენელი (0,5 ჰა) ფართობის
კაულტივაცია



ჩატარდა სამეცნიერო განვითარებისა და ტრანსფორმაციის აღგილობრივი
მოსახლეობის რაოდორულგანვითარების, საფაც საუბალი იყო
აროვაპბის ფარგლებში მიმღიღების შესახებ



პროექტის ფინანსურირებული გის-კუნა, რომელიც მოხადა
აღარ საკვლევი ტარიების რის მიზანითაც გამოგონილი არ გარება
გაიკრა საკვლევ ფინანსურირებული გის-კუნა, რომლის მიზანითაც

